განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტომატოლოგიის (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 12.06.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 29.07.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული სტომატოლოგი 0911
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300/305
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო კორსანტია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ბეშკენაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია, ხორციელდება 2010 წლიდან, პირველი აკრედიტაცია მიიღო 2012 წელს (20.11.2012, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი #688)

საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში არის 5 წლიანი, მოიცავს სწავლების 10 სემესტრს და 300/305 კრედიტს (305 კრედიტი მათვისაა, ვისაც მისაღებ გამოცდაზე უცხო ენა-ინგლისური არ ჩაუბარებია და უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში უწევს ინგლისური ენის სასწავლო კურსის დამატებით 1 სემესტრის გავლა (+5 კრედიტი).

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამით უნივერსიტეტში სწავლობს 200 აქტიური სტუდენტი, თვითშეფასების ანგარიშში სტუდენტთა პროგრესიის ცხრილი არასრულადაა შევსებული და კარგად არ ჩანს სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით. ვიზიტზეც დაისვა ეს კითხვა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმაც მოგვახსენა საკუთარი მოსაზრება, თუმცა დაწესებულებას ალბათ ჩვენგან განსხვავებული წარმოდგენა აქვს ამ საკითხზე და სხვანაირადაა ეს ცხრილი შევსებული.

პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგების აღზრდა, კურსდამთავრებულებისთვის პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა და კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა. პროგრამაში ინტეგრირებული საბაზისო სავალდებულო, კლინიკური სავალდებულო, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულებს სწავლის შემდეგი ეტაპის ადვილად დაძლევაში, თუმცა სასურველია, რომ სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადება კიდევ უფრო გაძლიერდეს, მითუფრო, რომ უნივერსიტეტს ნამდვილად გააჩნია ამის როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი.

უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც ყველა სტომატოლოგიური სავარჯელი სტუდენტის პრაქტიკული საქმიანობისთვისაა გამოყოფილი და ასევე, სხვა სტომატოლოგიური ბაზები, სადაც სტუდენტები იღებენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას, უმეტესად მანეკენებზე და ფანტომებზე მუშაობის, ექიმის ასისტირების და პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარების გზით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ახალი ბიბლიოთეკა, სადაც სახელმძღვანელოები როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. ასევე უნივერსიტეტს წვდომა აქვს სხვადასხვა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელზე.

დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 23 აკადემიური (პროფესორი-3, ასოცირებული პროფესორი-

17, ასისტენტ პროფესორი-2, ასისტენტი-1) და 40 მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტიდან გადმოგზავნილ პროგრამის განმახორციელებელი პირების ნუსხა იყო არასრული და განმახორციელებელი პირების დოკუმენტსაც, ასევე, აკლდა რამოდენიმე პერსონალი. აღნიშნული ხარვეზი გასწორდა ვიზიტის დროს, დაწესებულების ვარაუდით, ეს ხარვეზი დიდი მოცულობის მასალის გაგზავნისას წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზის ბრალია.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სტანდარტებთან შესაბამისობაშია, თუმცა არსებობს მცირედი ხარვეზები, რაც საჭიროებს გამოსწორებას.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებზე სტუდენტთა შეფასება მისაღებია, საბოლოო გამოცდაზე ფასდება სტუდენტის როგორც თეორიული მომზადება, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები. იგეგმება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ჩატარება, რომელიც წელს დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის გამო ვერ მოხერხდა.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ამასთანავე სამეცნიერო კვლევითი კონკრეტული აქტივობების დაფინანსების საკითხების გადაწყვეტას აწარმოებს შესაბამისი ბიუჯეტის ფარგლებში, უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომელიც საკმარისია პროგრამის მიზნების განსახორციელებლად.

სტუდენტებს ემსახურება სტუდენტთა მომსახურეობის ცენტრი, ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სტუდენტების მეტ-ნაკლები ინფორმირებულობა აღნიშნული სერვისების შესახებ. დაწესებულება თავისი არგუმენტირებული პოზიციით ამას არ ეთანხმება და თვლის, რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა პანელის მიმდინარეობის დროს. ჩემს მიერ ჩატარებული სხვა პროგრამის აკრედიტაციის დროს, სტუდენტები ნამდვილად იყვნენ ინფორმირებული, შესაძლოა ამ ვიზიტის დროს გამოსაკითხ სტუდენტებში მოხვდნენ ისეთები, რომელთაც ნაკლებად უსარგებლიათ აღნიშნული სერვისით.

უნივერსიტეტში, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება გაცვლითი პროექტები და საერთაშორისო მობილობის პროგრამები, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის. სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს ამის შესაძლებლობა ჯერ არ აქვთ. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, პროცესი შეჩერებულია.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. მიღებული შედეგები გამოიყენება არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად, მუშავდება სტრატეგია მათ აღმოსაფხვრელად, საუკეთესო შედეგების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 12 ივნისს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეგზავნა უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ გადმოგვეცა ადგილზე და ასევე, ელექტრონული ფოსტით. წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა ჩვენთვის საინტერესო პირების გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ინტერვიუს უმეტესი ნაწილი (აკადემიურ

და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან), ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე ჩატარდა ZOOM-ის აპლიკაციის პლათფორმით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **შესაბამისობაშია მოთხოვნეთან**
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- **რეკომენდაციები**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ გამოგზავნა არგუმენტირებული პასუხი, დანართებით, სულ 127 გვერდი, რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებულია, გამოგზავნილია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსების განახლებული ვარიანტები, უფრო დეტალურად გაიწერა სტუდენტების მიერ შესასრულებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, შეფასების სისტემა, როგორც სემინარებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ისე გამოცდაზე. გამოგზავნილია ვიზიტის შემდგომ, სტუდენტების პრაქტიკულად მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, <u>თუმცა აკრედიტაციის დასკვნა ვიზიტით და იმ დროინდელი დოკუმენტაციით ფასდება, ამიტომ ეს რეკომენდაციები რჩება:</u>

  - რეკომენდებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, გასწორდეს კურსის შინაარსი - არ მოხდეს უკვე გავლილი მასალის ხელმეორედ შესწავლა და შეფასება.
  - გამოცდის შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად - ჩანდეს რომელი კომპეტენციის შეფასება იგეგმება და როგორ იქნება ქულობრივად გადანაწილებული.
  - გაძლიერდეს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. კლინიკური სასწავლო კურსის სილაბუსებში დეტალურად აღიწეროს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ნაწილში, პაციენტებთან მუშაობის დროს. დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, ამ ჩამონათვალში არსებულ თითოეულ მანიპულაციას მიენიჭოს ქულა, რომელსაც სტუდენტი მიიღებს მისი შესრულების შემდეგ. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების შექმნით, ასევე რაიმე სხვა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტისთვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გადაიხედოს სასწავლო კურსის სახელწოდებები (ქირურგიული სტომატოლოგია, ორთოპედია, ორთოდონტია), შეძლებისდაგვარად გამარტივდეს და შინაარსობრივად გასწორდეს;
- გაიზარდოს სტუდენტების და პერსონალის ინფორმირებულობა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შესაძლებობების, ბიბლიოთეკის სერვისების, სტუდენტთა დასაქმების შესახებ;
- გაიზარდოს სამეცნიერო კვლევით კომპონენტში პრაქტიკული მუშაობა, ადგილობრივ და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მეტი ჩართულობით;
- სასურველია, თუ ფინალური გამოცდის გამსვლელი ქულა გაიზრდება და იქნება 50%-ზე მაღალი;
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში, სადაც განსაზღვრული იქნება ახლო მომავალში განსახორციელებელი კონკრეტული ნაბიჯები მეტი საერთაშორისო კავშირის დასამყარებლად და გაცვლითი პროგრამების ასამოქმედებლად; სტუდენტების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილების მისაღებად, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა და საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები: ცვლილებები უმეტესად უკავშირდება ლიტერატურის, სასწავლო კურსის სილაბუსების, კურიკულუმის შინაარსის ცვლილებებს. გაერთიანდა რამოდენიმე სასწავლო კურსი, შეიცვალა ზოგიერთი კურსის კრედიტების რაოდენობა, ცვლილებები შევიდა გარკვეული საგნების სახელწოდებებში. გაუქმდა და დაემატა ზოგიერთი სასწავლო კურსი.

გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აშენდა ბიბლიოთეკის ახალი შენობა, სასადილო, დაემატა აუდიტორიები, მოწესრიგდა საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა და სასტერილიზაციო ოთახი და ინფექციური ნარჩენების მართვის საკითხი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის ძირითადი მიზანია სტუდენტს გადასცეს შესაბამისი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, რომელიც საჭიროა კვალიფიციური კადრის მოსამზადებლად შრომით ბაზარზე. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნების უმთავრესი ნაწილია პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო ცოდნის მიწოდება და უნარების გამომუშავება, რაც გულისხმობს პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადებას. პროგრამის მიზნები მიღწევადია, მათი საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს კუსრდამთავრებულთა კომპეტენციები. პროგრამის გაუმჯობესებისთვის უნივერსიტეტი მუდმივად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს, გააჩნია სხვადასხვა ბერკეტები პრობლემების დროულად გამოსავლენად და საჭირო რესურსი მისი აღმოფხვრისთვის. პროგრამას შეუძლია კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიციური სტომატოლოგის მომზადება, რომელიც დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

* **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშზე, საგანმანათლებლო პროგრამასა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგების აღზრდა, კურსდამთავრებულებისთვის პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა და კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა. პროგრამაში ინტეგრირებული საფაკულტეტო, საბაზისო და კლინიკური კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულებს სწავლის შემდეგი ეტაპის ადვილად დაძლევაში.

სწავლის შედეგები ნათელი, ლაკონური და გაზომვადია, შედეგებში გაწერილია როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკულ-კლინიკური კომპეტენციების ჩამონათვალი.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და მისი ყველა კომპონენტის ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სასურველია, რომ სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადება კიდევ უფრო გაძლიერდეს, მითუფრო, რომ უნივერსიტეტს ნამდვილად გააჩნია ამის მატერიალური რესურსი.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგების მონიტორინგი პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.

პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არის ჩართული პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ყოველი სემესტრის ბოლოს ივსება სპეციალური კითხვარები, ანალიზდება განვლილი კურსის და მთლიანად პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და იგეგმება მომდევნო სემესტრში განსახორციელებელი აქტივობები. პროცესს მონიტორინგს უწევს პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	*			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სტომატოლოგიის პროგრამის დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს: სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52). სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ (დადგენილ ვადებში), სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების /თანხმობის საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ღია, გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც აბიტურიენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის. ინფორმაცია განთავსებული უნივერსიტეტის ვებგვერდზე http://www.ciu.edu.ge.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტის შინაარსი (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა.), სწვლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, მიმართულია ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისკენ. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრული და ლოგიკური, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობაც ადეკვატურია. პროგრამაზე სწავლა 10 სემესტრი და 300/305 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება (+5 კრედიტი მათთვის, ვინც მისაღებ გამოცდაზე უცხო ენა-ინგლისურს არ აბარებს). კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შედგენილია უსდ-საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემის, საქართველოს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულების თანახმად 1 ECTS კრედიტი უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან. **<u>სავალდებულო კომპონენტების კრედიტების რაოდენობა გადანაწილებულია 289/ 294 კრედიტზე.</u>** მათ შორის: - საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **19/24 კრედიტი;** - საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები –**30 კრედიტი;** - სპეციალობის საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები – **85 კრედიტი;** - სპეციალობის კლინიკური სავალდებულო სასწავლო კურსები – **155 კრედიტი;**

<u>არჩევითი კომპონენტების 11 კრედიტი</u> კი გადანაწილებულია - საუნივერსიტეტო (5 კრედიტი) და საფალკუტეტო არჩევით (6 კრედიტი) საგნებზე.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მოცემული სწავლების აუცილებელი პირობაა ფუნდამენტური (თეორიული, საბაზისო) და პრაქტიკული (კლინიკური) სასწავლო კურსების ინტეგრაცია. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა უნდა განსაზღვრავდეს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას, ამასთან ერთად პროგრამის სწავლების მეთოდების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

აღნიშნული პროგრამის მიზნებისა და სწავლების შედეგების განხორციელება დაგეგმილია სასწავლო კურსებში ერთიმხრივ თეორიული მეცადინეობების - ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრეზენტაციების დემონსტრირების გზით და მეორემხრივ, პრაქტიკული მეცადინეობების კურსითა და კომპონენტებით. თუმცა, ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს, ძირითადად საფანტომო კურსებს არსებულ საუნივერსიტეტო ბაზაზე, ხოლო კლინიკური როტაციის პირობებში - სტუდენტების ასისტირების შესაძლებლობებს და პაციენტებზე მარტივი სტომატოლოგიური მანიპულაციების შესრულებას. სწავლების პროცესების ორგანიზება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის შეძენას, ასევე გარკვეული კომპეტენციის და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ გათვალისწინებულია სტუდენტის მანუალური-პრაქტიკული უნარჩვევების ჩამოყალიბების მიზნით პაციენტთან ინდივიდუალური მუშაობა (პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ), რაც გაირკვა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს ფარგლებშიც. სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა და აქტივობა განისაზღვრება ჯგუფებში მუშაობის, დისკუსია/დებატების, შემთხვევების ანალიზის, პრეზენტაციის და დემონსტრირების მეთოდების გზით. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, კოგნიტური აზროვნების და ანალიზის უნარის განვითარებას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა წინა კურსის/კურსების საგნების გავლას. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის, აღნიშნული მითითებულია კურსების სილაბუსებში, რომელსაც სტუდენტი ეცნობა პირველივე ლექციაზე.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამის შექმნა, დახვეწასა და გაუმჯობესებაში აქტიურად ჩართული იყვნენ და მონაწილეობას იღებდნენ, როგორც სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულები, თუმცა ინტერვიუს ფარგლბში აღნიშნული საკითხი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ არ დადასტურდა. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ სავარაუდოდ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენებულ იქნა სტუდენტთა გამოკითხვის და სწავლის შედეგები, კარგი იქნება თუ სტუდენტები უფრო მეტად ინფორმირებულები იქნებიან აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში, რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში აღიჭურვა და განახლდა საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზა, რაც თავისთავად სწავლების მეთოდების ეფექტურობის მაჩვენებლის ზრდას განსაზღვრავს. მისასალმებელია სტუდენტთა ინტეგრირება აღნიშნულ კლინიკურ სივრცეში. გარკვეული კითხვები გაგვიჩნდა სასწავლო კურსთან "საქართველოს ისტორია", რომელიც სავალდებულოა და 5-კრედიტიანია. ინტერვიუს დროს ეს ფაქტი ახსნილ იქნა იმით, რომ ეს უნივერსიტეტის მოთხოვნაა და ყველა ფაკულტეტზე ისწავლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება *** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა მეტწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსი მიმართულია თეორიული ცოდნის ათვისებისკენ და ასევე, საკმარისადაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების მანეკენებზე და ფანტომებზე შესწავლა, თუმცა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობა, ექიმების ასისტირება და მცირე დოზით, არასავალდებულო მარტივი

მანიპულაციების პაციენტებზე ჩატარება საკმარისი არაა კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად.

სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად და გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის შემუშავებული. პროგრამის სტრუქტურა ადეკვატურია სტუდენტისთვის და ლოგიკურად აღსაქმელი.

თოთოეული სასწავლო კურსი შექმნილია საჭირო საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და წარმოდგენილია ასტრონომიული საათების პროპორციულად ECTS კრედიტებში.
სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურის ნაწილი მოძველებულია, რაც ზოგადად ქართულ ენაზე სპეციალური ლიტერატურის სიმწირითაა გამოწვეული და ამაზე დაწესებულებაც წუხს. თანამედროვე ლიტერატურის დანაკლისს სილაბუსის და კურსის (ბეჭდური და ელექტრონული ფორმით) ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს.
ზოგიერთი სპეციალობის სილაბუსში გვაქვს შენიშვნები: კურსის შინაარსში მითითებულია მკურნალობის ისეთი მეთოდებით და ინსტრუმენტებით მუშაობა, რომლებიც ვიზიტის დროს ვერ ვნახეთ და ეს იმით ახსნეს, რომ ამ საშუალებებს მხოლოდ თეორიულად ასწავლიან, მაშინ ასევე, უნდა დაკონკრეტდეს სილაბუსშიც.
გარკვეული საკითხები სხვადასხვა სემესტრის სილაბუსებში მეორდება, ისევე, როგორც ლიტერატურის გვერდები, რაც გასასწორებელია.
კლინიკურ კურსებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ფასდება კვლავ ფანტომებზე და ექსტრაგირებულ კბილებზე ჩასატარებელი მანიპულაციები, რაც ასევე, წინა სემესტრებშიც ასევე ფასდებოდა. არსად არ ჩანს როგორ ფასდება სტუდენტის მიერ პაციენტების მკურნალობის დროს ჩატარებული მანიპულაციები. არსად არაა დეტალიზებული, რომელ სასწავლო კურსზე, რომელ სემესტრში პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა პაციენტზე. სილაბუსებიდან და ვიზიტიდანაც ჩანს, რომ სტუდენტი თავისი სურვილით მკურნალობს პაციენტს და არა რაიმე ვალდებულების გამო. რათქმაუნდა აქ საუბარია სპეციალიზაციის ისეთ სასწავლო კურსებზე, სადაც შესაძლებელია კონკრეტულ კურსზე, პედაგოგის ზედამხედველობით არამხოლოდ პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენის და მარტივი მანიპულაციების ჩატარება.
გარკვეული ხარვეზები და შეუსაბამობაა სასწავლო კურსების და სილაბუსების თემატიკის (სასწავლო კურსები სათაურების) კუთხით (ძირითადად სპეციალობის კურსები - ორთოპედიული სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია, ორთოდონტია). სასურველი იქნება, თუ სასწავლო კურსის სახელწოდებები გადაიხედება და გამარტივდება.

ზოგიერთი პრაქტიკული სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოცდის ფორმად მითითებულია OSCE, თავისი მხოლოდ ზოგადი განმარტებით, არ არის დაკონკრეტებული რამდენ სადგურზე, რა დროში, რომელი კომპეტენციების შეფასება იგეგმება. ინტერვიუს დროს ამ შენიშვნაზე პასუხი ასევე ზოგადი იყო: იგეგმება 6 სადგური, აქედან 5 აქტიური და ჯერ არ არის გაწერილი გამოცდის შინაარსი. თუ პროგრამაში მითითებულია გამოცდის ფორმა, ისევე როგორც სხვაგანაა დაკონკრეტებული ქულების განაწილება ტესტებით,

საკითხებით და სხვა, OSCE-ის შემთხვევაშიც უნდა დაკონკრეტდეს გამოცდის 20 ქულა როგორ იქნება განაწილებული. აკრედიტაციისთვის პროგრამა თავისი ყველა კომპონენტით უნდა იყოს დასრულებული სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ○ სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ელექტრონული პორტალი.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, გასწორდეს კურსის შინაარსი, არ მოხდეს უკვე გავლილი მასალის ხელმეორედ შესწავლა და შეფასება; • დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, ამ ჩამონათვალში არსებულ თითოეულ მანიპულაციას მიენიჭოს ქულა, რომელსაც სტუდენტი მიიღებს მისი შესრულების შემდეგ. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების შექმნით ან რაიმე სხვა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტისთვის; • გამოცდის შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად, ჩანდეს რომელი კომპეტენციების შეფასება იგეგმება და როგორ იქნება ქულობრივად გადანაწილებული.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • გადაიხედოს სასწავლო კურსის სახელწოდებები (ქირურგიული სტომატოლოგია, ორთოპედია, ორთოდონტია) და შეძლებისდაგვარად გამარტივდეს და შინაარსობრივად გასწორდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს სხვადასხვა ტექნიკური ბაზა, რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას. მაგ: საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკური აპარატურით, საფანტომო კაბინეტებით, კლინიკური უნარების ცენტრი, ბიოქიმიის და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიები, მათი დიდი უმრავლესობა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. სტომატოლოგიური უნარებისათვის საჭირო პრაქტიკული ბაზა **(საუნივერსიტეტო კლინიკა და საფანტომო კაბინეტები)** ძირითადად ფარავენ საჭიროებების უმრავლესობას, რათა მიღწეულ იქნა შესაბამისი სწავლის შედეგები. **ლაბორატორიებში** მიმდინარეობს შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობები, მიმართულებების მიხედვით (მაგ: მიკრობიოლოგია, ბიოქიმია). არსებობს კარგი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც განახლებულია. თუმცა აღნიშნულით სარგებლობს სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები, ამიტომ სასურველი იქნებოდა მომავალში ლაბორატორიული რესურსების გაზრდა. **კლინიკური უნარების ცენტრში** წარმოდგენილი მატერიალური ინვენტარი ძირითადად უზრუნვეყოფს სტომატოლოგიის სტუნდეტებისათვის საჭირო უნარების განვითარებას, თუმცა მათთან შეხვედრისას გამოვლინდა, რომ უმრავლესობას არ უსარგებლია აღნიშნული ცენტრით, კურსის ბოლოს ჯერ არ ჩატარებიათ OSCE ტიპის გამოცდა, თუმცა, გადაუდებელი დახმარების ტრენინგი გაიარეს საჩხერის ჰოსპიტალში და ბაკურიანში გასვლითი სემინარის დროს, რომელიც ძირითადად მოიცავდა რამდენიმე დღეს. გარდა გადაუდებელი დახმარებისა, ცენტრი აღჭურვილია მულაჟებით, რომელიც საშუალებას იძლევა პრაქტიკულად ყველა სამედიცინო მიმართეულებით პრაქტიკული უნარების დასასწავლად (შინაგანი მედიცინა, გინეკოლოგია, ქირურგია). სილაბუსების შესწავლისას შინაგანი მედიცინის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისათვის მითითებულია ''ერთმანეთზე ვარჯიშის'' კომპონენტი, რასაც ასევე, მინიჭებული აქვს სავალდებულო ქულა - პაციენტის როლის შესრულებისათვის მაქსიმუმ 11 ქულა. აღნიშნული მეთოდის სავალდებულოდ გამოყენება შესაძლოა შეიცავდეს საფრთხეს (არასწორად გაკეთებულმა მანევრმა შესაძლებელია დააზიანოს სტუდენტი) ან არ იყოს მისაღები რელიგიური მოსაზრებებით ან ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით. ამიტომ, სასურველი იქნებოდა ''ერთმანეთზე ვარჯიშის''/პაციენტის როლის კომპონენტს არ ჰქონდეს მინიჭებული ქულა და მეტ დროს მოიცავდეს მულაჟზე სიმულაციური და შესაბამის კლინიკაში რეალურ პაციენტზე სწავლება. პრაქტიკის თვალსაზრისით ასევე, მნიშვნელოვანია **საავადმყოფოებში, სხვადასხვა დეპარტამენტებში** სტუდენტების ჩართულობა პაციენტის შეფასების და მკურნალობის პროცესში. უნივერსიტეტს გააჩნია მემორანდუმები სხვადასხვა კლინიკასთან, სადაც

წინასწარ გამოყოფილი ლექტორის მეთვალყურეობით მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა არის საშუალოდ 12-15, ამიტომ ჰოსპიტალში მათი გადანაწილება ხდება მცირე ჯგუფებად (8 სტუდენტი მაქსიმუმ), ერთი ნაწილი ლექტორთან ერთად განაგრძობს ავადმყოფების შეფასების და მოვლის პროცესში მონაწილეობას, ხოლო დანარჩენი რჩება აუდიტორიაში. სასურველი იქნებოდა მათთვის ამ დროს მეორე ლექტორის ან კურატორის გამოყოფა.

პროგრამა მოიცავს **სამეცნიერო კვლევითი პრაქტიული უნარების** სწავლებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია (სამეცნიერო კვლევის საფუძვლები, სამეცნიერო კვლევის უნარები, სამეცნიერო ნაშრომის წერა). აღნიშნული მიმართულების დოკუმენტაციის გაცნობისას და ლექტორებთან/სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე, აღმოჩნდა რომ უნივერსიტეტი სრულ მხარდაჭერას უცხადებს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს შიდა გრანტების არსებობით. მსგავსი პროექტი ამ ეტაპზეც მიმდინარეობს. კვლევაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა მცირეა (მიმდინარე კვლევაში ჩართულია 4 სტუდენტი). მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი სამეცნიერი კვლევის გრანტების სახით, ლექტორებს/სტუდენტებს ნაკლები ინფორმაცია გააჩნიათ აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ. ასევე, სილაბუსებში მითითებული პრაქტიკული კომპონენტისათვის საჭირო პროგრამების, მაგ: SPSS გამოყენება მიმდინარეობს თეორიულად.

სტომატოლოგიური პროგრამის სტუდენტებს არ მიუღიათ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობდა მათი პრაქტიკული კომპონენტის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაციები;
- ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“;
- ახალგაზრდა მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის საგრანტო კონკურსის მასალები;
- უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების გრანტების და მცირე სამეცნიერო გრანტების კონკურსის მასალები.
- სასწავლო ცხრილი
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შესაძლებობების შესახებ სტუდენტების და პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა
- სამეცნიერო კვლევითი კომპონენტში პრაქტიკული მუშაობის გაზრდა,

ადგილობრივი და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მეტი ჩართულობით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება *** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექციები, სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, პრობლემაზე, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები, სიმულატორებზე და ფანტომებზე სწავლება, პრეზენტაციები, პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარება, ექიმების ყურება და ასისტირება. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, ანალიზის უნარის განვითარებას და კვლევის უნარის ჩამოყალიბებას. სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტწილად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, დიდი ყურადღება ეთმობა თეორიულ სწავლებას და პრაქტიკული უნარების ათვისებას მანეკენებსა და ფანტომებზე მუშაობით, ექიმების ასისტირებით და ყურებით, რაც ერთის მხრივ ნამდვილად უზრუნველყოფს სტუდენტის ინტეგრირებას კლინიკურ სივრცეში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. პაციენტებთან მეტი დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაციები, ანამნეზის შეკრება, დიაგნოზის დასმა, პრაქტიკული უნარების განვითარება (მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ) აუცილებელია ამ სპეციალობის პროგრამის სტუდენტებისთვის. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს ზემოჩამოთვლილი სწავლების მეთოდები, პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარება, თუმცა ვერ გაიხსენეს კონკრეტულად რომელი კლასის კბილები დაბჟინეს, გამოიყენეს თუ არა რაბერდამის სისტემა, საერთოდ არ ჩაუტარებიათ ენდოდონტიური მკურნალობა, ანესთეზია. პროგრამის ერთ-ერთი მიზანიც ხომ კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მიღებაა, ამიტომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პაციენტებთან მუშაობას.

პროგრამა უნდა გაძლიერდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლის თვალსაზრისით. გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული, წინასწარგანსაზღვრული ქულა. ეს რეკომენდაცია უნივერსიტეტისთვის მიღწევადია, რადგან აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, პაციენტების მკურნალობა სტუდენტებთან არის უფასო, უნივერსიტეტს ჰყავს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ნამდვილად შეძლებს ამ ამოცანის შესრულებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სილაბუსები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები: • გაძლიერდეს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მოცემულია სტუდენტის შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას, თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, ასევე, ინფორმაციას საკუთარი სუსტი მხარეების და მათი გაუმჯობესების შესახებ. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, ხდება მიღებული შეფასების შედეგების ანალიზი და მათი სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენება.

სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ მიიღონ, როგორც სასწავლო კურსის სილაბუსებიდან და საგანმანათლებლო პროგრამიდან, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში - "გონში", ისე პროფესორის ან პროგრამის ხელმძღვანელის მეშვეობით. კურსის განმახორციელებლებს აქვთ ვალდებულება სტუდენტებს სილაბუსი გააცნონ კურსის დასაწყისშივე, გაარჩიონ და მოისმინონ სტუდენტთა შეხედულებები.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტისთვის გამჭვირვალეა ინფორმაცია მისი შუალედური შეფასებების შესახებ, ამიტომ მან ზუსტად იცის თავისი ნაკლოვანებების თაობაზე და საბოლოო შეფასების მიღებამდე სასწავლო კურსის პროფესორისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დახმარებით სახავს გზებს აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

უნივერსიტეტში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ტესტი, საკითხი, სიმულატორებზე, ფანტომებზე, ანაბეჭდებზე, ექსტრაგირებულ კბილებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება და სხვა. ზოგიერთ სასწავლო კურსში პრაქტიკული უნარების შესაფასებლად იგეგმება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რაც ასევე გაწერილია სილაბუსებშიც, თუმცა სადგურების დეტალიზაციის გარეშე. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ გამოცდის ეს ფორმა წესით წელს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა ეპიდსიტუაციიდან და სწავლების ონლაინ-რეჟიმზე გადასვლის გამო, ვერ მოხერხდა.

სასწავლო კურსის სილაბუსებში პრაქტიკული უნარების შეფასება საფანტომო კლასებში გაწერილია, თუმცა კლინიკურ კურსებზე კვლავ იგივე ფასდება. აუცილებელია კლინიკურ კურსებზე, სადაც უკვე პაციენტების მიღებაა შესაძლებელი, შეფასდეს უშუალოდ პაციენტებზე ჩატარებული უნარები და მოხდეს ამ უნარების სტანდარტირება და აღრიცხვა. აუცილებლად უნდა მიეთითოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება.

ფინალურ გამოცდაზე გამსვლელი ქულა არის 20, ანუ 50%, ანუ სტუდენტმა იცის მასალის ნახევარი. სასურველია, თუ ეს მაჩვენებელი გაიზრდება. ამ ნაწილში შემოვიფარგლებით მხოლოდ რჩევით, რადგან არც კანონით და არც რაიმე რეგულაციით ამ ნიშნულის გაზრდა

სავალდებულო არაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სილაბუსები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია კლინიკური სასწავლო კურსის სილაბუსებში დეტალურად აღიწეროს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ ნაწილში, პაციენტებთან მუშაობის დროს. მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევით მიიღება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, თუ ფინალური გამოცდის გამსვლელი ქულა გაიზრდება და იქნება 50%-ზე მაღალი
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		*		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებთან საკონსულტაციო მომსახურების შესახებ უნივერსიტეტ გააჩნია წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას სასწავლო პროცესების მიმდინარეობის და აკადემიური მიღწევების შესახებ. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო კურსების შერჩევაში და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრაში. ერთი ფანჯრის პრინციპით ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხის მიღება სტუდენტს შეუძლია სტუდენტთა მომსახურების სამსახურის მიერ, სხვადასხვა სამეცნიერო და სპორტულ/კულტურული ღონისძიებების ჩათვლით. სტუდენტებისათვის გამოყოფილია საკონსულტაციო საათები, რომელიც მითითებულია სილაბუსებში, ელექტრონულ პორტალზე და ასევე, თვალსაჩინოდ სტენდებზე. სტუდენტები ძირითადად იღებენ ინფორმაციას უნივერესიტეტის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა სამეცნიორო აქტივობების შესახებ, თუმცა საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობა ნაკლებია. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სტუდენტების ნაკლები ინფორმირებულობა უნივერსიტეტის მიერ მათი დასაქმების სათანადო კონსულტაციების შესახებ. ასევე ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომის შესახებ. დღეისათვის სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ გაცვლით პროექტებში, ვერ სარგებლობენ საერთაშორისო მობილობით. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, თუმცა ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, პროცესი შეჩერებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ მედიცინის ფაკულტეტის დებულება; ○ აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის დებულება;

○ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამსახურის დებულება; ○ ბიბლიოთეკის დებულება; ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „გონი“; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ საკონსულტაციო ცხრილი ○ ვებ-გვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სტუდენტთა მეტი ინფორმირება, მომავალში მათი დასაქმების მხარდასაჭერად; • სასურველი იქნებოდა მომავალში სტუდენტების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილების მისაღებად, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას; • სტუდენტთა მეტი ინფორმირებულობა ბიბლიოთეკის სერვისების შესახებ; • სასურველია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში, სადაც განსაზღვრული იქნება ახლო მომავალში განსახორციელებელი კონკრეტული ნაბიჯები მეტი საერთაშორისო კავშირის დასამყარებლად და გაცვლითი პროგრამების ასამოქმედებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება *** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	*			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესს უძღვება აკადემიური პერსონალი და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით მოწვეული ლექტორები. აკადემიურ თანამდებობებზე რექტორის ბრძანებით დანიშნულნი არიან კონკურსის წესით შერჩეული, სათანადო სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები.

პროგრამაში ჩართულია შემდეგი აკადემიური პერსონალი: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, მოწვეული ლექტორი. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში;

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც ჩართულნი არინ მათი ლექტორები;

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ამასთანავე სამეცნიერო კვლევითი კონკრეტული აქტივობების დაფინანსების საკითხების გადაწყვეტას აწარმოებს შესაბამისი ბიუჯეტის ფარგლებში; საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სტუდენტთა გამოკითხვის ფორმებს; სტუდენტთა სისტემატური გამოკითხვის ორგანიზებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები; გამოკითხვა მიმდინარეობს ანონიმურად; სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი და ხორციელდება რეკომენდაციების წარდგენა პროგრამების შემდგომი მოდიფიცირებისა და განვითარების მიზნით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. პროგრამას უშუალოდ ემსახურება ადმინისტრაციული პერსონალი, ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ პერსონალის პირადი საქმეები: მათთან გამოფრმებული ხელშეკრულებები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის წესდება; ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

* **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასებას. შეფასების მექანიზმები მოიცავს: ლექციებზე დასწრებას, აფასებს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს და სასწავლო და კვლევითი პროცესის მიმდინარეობას, წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. როგორც თვითსეფასების ანგარიშიდან და ასევე, ინტერვიუს პერიოდში გამოიკვეთა, აკადემიური პერსონალის ხელშეწყობის და მათი კვლევების ხარისხის ზრდის მიზნით კსუ-ში შემუშავებულია და იგეგმება რიგი ღონისძიებები უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის, მეცნიერ-თანამშრომლებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მხარდასაჭერად. უნივერსიტეტში ხშირად იმართება ლექტორთა სამეცნიერო კონფერენციები; საჯარო ლექციები; მეთოდოლოგიური სემინარები, ტრეინინგები; დაწესებულია პრემიები, შიდა გრანტები, სამომავლოდ იგეგმება პროფესორ-მასწავლებელთა მივლინებები საზღვარგარეთ. 2019 წლიდან უნივერსიტეტმა გამოაცხადა მზადყოფნა, რომ სრულად დააფინანსოს აფილირებული აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხარჯები იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, რაც ხელს უწყობს მეცნიერებს, კვლევები გამოაქვეყნონ მაღალი დონის სამეცნიერო ჟურნალებში. აუცილებლად მიგვაჩნია ამ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება უახლოეს მომავალში კონკრეტულად ამ პროგრამის ფარგლებში (სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებო პროგრამა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი; ○ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება; ○ პერსონალის პირადი საქმეები: მათთან გამოფრმებული ხელშეკრულებები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის წესდება;

○ პერსონალის განვითარების ღონისძიებები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება *** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა აღჭურვილია მატერიალური რესურსებით: აუდიტორიები, საკონფერეციო დარბაზები, კომპიუტერული ოთახები, ბიბლიოთეკა, საუნივერსიტეტო კლინიკა, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, ლაბორატორიები. აღშნული სივრცეები მოწყობილია თანამედროვე ტექნიკური რესურსებით. აუდიტორიების, კომპიუტერული ოთახების, ბიბლიოთეკის, საუნივერსიტეტო კლინიკის, ფანტომური ოთახების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს მიზნად დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, სტუდენტების ინფორმირებულობა ბიბლიოთეკის ელექტრონული უფასო ბაზების შესახებ ნაკლებია, რასაც მიუთითებს სტატისტიკა, რომელსაც მუდმივად ახორციელებს ბიბლიოთეკის მენეჯმენტი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის დროს, სილაბუსებში არსებული სახელმძღვანელოების რანდომული მოძიებით და ასევე სხვადასხვა საძიებო ბაზებზე წვდომის შემოწმებით. ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე მიკროსკოპებით და სხვა საჭირო ინვენტარით. თუმცა მათი დატვირთვა მიმდინარეობს ასევე, სხვა პროგრამის სტუდენტების მიერ, რაც შესაძლოა ამცირებდეს პრაქტიკული სწავლების კომპონენტს. კლინიკური უნარჩვევების ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე სიმულაციური მულაჟებით, OSCE გამოცდისათვის საჭირო ელექტრონული სისტემით და შესაბამისი

სივრცით. აღნიშნული ცენტრი სტომატოლოგიის პროგრამის გარდა, დატვირთულია სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებით. ამას ადასტურებს სასწავლო ცხრილი. მულაჟების ცვეთის და საჭირო ინვენტარის მუდმივად განახლების გათვალისწინებით ცენტრის დატვირთვა მაღალია, რასაც ადასტურებს სასწავლო ცხრილი, თუმცა 2019წ წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში აღნიშნული ცენტრის ხარჯები არ იყო გათვალისწინებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; ○ სასწავლო ცხრილი; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სამეცნიოერო კვლევითი საქმიანობის შესაძლებობების შესახებ სტუდენტების და პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება *** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით (სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, ინგლისურენოვანი პროგრამების და მედიცინის ფაკულტეტის) და ინტერვიუს შედეგებითაც დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომელიც საკმარისია პროგრამის მიზნების განსახორციელებლად. კერძოდ: პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია ფინანსური რესურები ბიბლიოთეკის განახლებისთვის, ლექტორების გადამზადებისთვის,

პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად, სტუდენტური ინიციატივების დასაფინანსებლად, ტრენინგების საორგანიზაციოდ, სწავლის პრაქტიკული კონპონენტებისთვის საჭირო ინვენტარის შესაძენად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ გამოყოფილი ფინანსური რესურები ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის მდგრადობის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი; ○ მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება *** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	*			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის წარმატებული განხორციელების და ფუნქციონირების აუცილებელი ელემენტია სასწავლო პროცესისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ფუნქციაა უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების მუდმივი მონიტორინგი და სრულყოფა, აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფა. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად მოწმდება და ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, მათ განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამასთან და იმ სასწავლო კურსებთან, რომლებსაც ისინი ახორციელებენ კონკრეტულ პროგრამაში. უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება შემდეგ პრინციპს: „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს. შემდგომში იყენებს რა გამოკითხვის შედეგებს, აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან და შესაბამის ფაკულტეტთან ერთად სისტემატურად აწარმოებს ლექციებზე დასწრებას მეცადინეობების მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით. მონიტორინგის შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის. რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ ფაკულტეტის დებულება; ○ აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის დებულება; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი თანამშრომლობს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან და იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ისეთ გარე მექანიზმებს, როგორიცაა: ა) ავტორიზაციას და აკრედიტაციას, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; ბ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ, განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას. პროგრამას ჰყავს გარე ექსპერტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინისა და სტომატოლოგიური სკოლის პროფესორი, ქეთევან ფრანჩუკი. გარე ექსპერტს რეკომენდაციები არ აქვს, ამიტომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები და საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები. დასკვნის პროექტში ჩვენ გვეწერა, რომ მოქმედ პროგრამას გარე ექსპერტი არ ჰყოლია. ეს არგუმენტი გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ დაწესებულების მიერ გამოგზავნილ თვითშეფასების ანგარიშში იყო არაზუსტი ინფორმაცია და სტომატოლოგიის პროგრამაზე მტკიცებულებად/ინდიკატორად მითითებული იყო <u>ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის გარე ექსპერტის შეფასება,</u> რაც რათქმაუნდა ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა და შესაბამისად დანართებშიც არ გვიძებნია!
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. ○ გარე ექსპერტის შეფასება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გაუმჯობესების მიზნით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. აღნიშნული პროცესი სპეციალურად შედგენილი კითხვარების შევსებით ხორციელდება. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს მონაცემების დამუშავებას და შეფასებას, რათა საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს მიღებული შედეგების შენარჩუნების ან გაუმჯობესების გეგმები. პროგრამის ხელმძღვანელი აკეთებს პროგრამის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, მოდიფიცირებასთან დაკავშირებით წინადადებებს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, დეკანი კი ფაკულტეტის საბჭოს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა და სილაბუსები გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასაც, წინასწარ დადგენილი პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებზე სტუდენტის მიერ მიღწეული სასწავლო კურსის შედეგების შეფასება ხორციელდება გაუსის მეთოდით, შეფასების შედეგები ასევე, გამოიყენება შესაბამისი სასწავლო კურსის და მთლიანობაში საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისთვის. ინტერვიუებზე აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს მათ მიერ კითხვარების სისტემატიური შევსება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ელექტრონული პორტალი; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ პერსონალის გამოკითხვის ფორმები და გამოკითხვის შედეგები; ○ პროგრამის სწავლის შეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სტომატოლოგიის (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	*			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		*		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	*			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	*			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო კორსანტია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ბეშკენაძე

ელენე ხურციძე